საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისი

# ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი № 76 (370)

ფასი 40 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა




## რას მიქვია იზოლაცია?

მდინარე ფსოუზე, საქართველო-რუსეთის საზღვარზე, აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას ყოველდღიურად შეაქვს 50-60 ტონა საკვები პროდუქტი: ფქვილი, მაკარონის ნაწარმი, შაქარი, ზეთი.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიტანეს 800 ტონა ბენზინი.

სოხუმის პორტში 20 მარტს უკრაინული გემის „ვეგას" ინციდენტთან დაკავშირებით ცნობილი გახდა, რომ გემს სოხუმში შეჰქონდა 60 ტონა სპირტი. სპირტის გარდა გემზე აღმოჩნდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ორ ათეულამდე პირი, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებულნი გემის სააღრიცხვო ჟურნალში.

## დევნილი ხელისუფლება სტუმრად აშშ-სა და გერმანიაში

დასრულდა აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში. როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლონდერ ცაავამ განაცხადა, „ვიზიტი შედგა შეერთებული შტატების კომერციული სტრუქტურების კერძო მიწვევით. იგი დაემთხვა საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვას, ამიტომ შევეცადეთ მისთვის ინფორმაციულ-პოლიტიკური დატვირთვა მიგვეცა".

გერმანიაში აფხაზეთის დელეგაცია შეხვდა ცნობილ პოლიტოლოგს, ბუნდესტაგის ექსპერტს, კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორს, აშოტ მანუჩარიანს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა ინფორმაცია ამ ვიზიტის შესახებ.

BGI

პარლამენტი

## როგორ «შევიტყუოთ» დეპუტატები სამსახურში?

გუშინ საქართველოს პარლამენტმა ვერ შეძლო კანონშემოქმედებითი საქმიანობის დაწყება ქვორუმის უქონლობის გამო. პლენარულ სხდომაზე მისულმა პარლამენტარებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ზოგიერთი დეპუტატის უპასუხისმგებლობამ სისტემატური ხასიათი მიიღო.

მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გურამ შარაძემ ფრაქცია „ალორძინების" სახელით გააკეთა განცხადება, რომელშიც დაგმო სააგენტო „იბერიის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ასლან აბაშიძემ მოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სუვერენიტეტი. მისი თქმით, აუცილებელია მიღებული იქნეს კანონი პრესაზე, რადგან ხშირად, ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდება მასალა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში ნგრევის პროცესებს. პარლამენტარების აზრით, სანამ სახელმწიფოში არ ამოქმედდება სასამართლო სისტემა პრესასთან მიმართებაში, აღნიშნული პრობლემა ვერ გადაწყდება. ამით პარლამენტის დღევანდელმა სხდომამ „მუშაობა" დაასრულა.

პარლამენტის სხდომა დღეს განახლდება.

იპრინდა

ბარიერთან

## რუსთაველის საზოგადოება — ორი ბანაკი, ორი პოზიცია

რუსთაველის საზოგადოების შექმნამ, თავის დროზე, საკმაოდ დიდი იმედი ჩაუსახა ჩვენს მოსახლეობას. საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი დაემთხვა პერიოდს, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყანაში, გარკვეული ლიბერალიზაციის შედეგად, ჩნდებოდა დემოკრატიის ერთგვარი ჩანასახები, კვლავაც გადაულახავი იყო ძვალ-რბილში გამჯდარი შიში. მაგრამ ხალხი ნელ-ნელა ეჩვეოდა საკუთარი ნების საჯაროდ გამოხატვას. სწორედ ამიტომ, შექმნა საზოგადოებისა, რომლის სათავეებთან მაღალი რეპუტაციის მქონე პიროვნებები იდგნენ, იყო ნუგეშიც და რწმენაც იმისა, რომ საბჭოური ყინული ლღვებოდა, რომ დემოკრატიის და ლიბერალიზაციის პროცესს შეუქცევადი ხასიათი მიეცემოდა.

რუსთაველის საზოგადოების მთავარი დატვირთვაც სწორედ ამ ნიშნით იყო აღბეჭდილი, მაგრამ ჟამთა სვლამ, ბოლო ათწლეულის ისტორიის ზიგზაგებმა, ცხოვრების უაღრესად პოლიტიზირებამ თავისი კვალი დააჩნია რუსთაველის საზოგადოებასაც. მის შესახებ სხვადასხვა წრეებში სხვადასხვა აზრი ვრცელდებოდა, ერთურთს ერეოდა ტყუილ-მართალი. თავად ორგანიზაციაც დაიქსაქსა, დაკარგა ერთიანი ორგანიზმის სახე. დღეს კი, რუსთაველის საზოგადოება გახლეჩილია და დაპირისპირებამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ საქმე სასამართლომდეც მივიდა (ყოველ შემთხვევაში, ასე ითქვა რუსთაველის საზოგადოების ბოლო ყრილობაზე).

დღეს გთავაზობთ ორი დაპირისპირებული მხარის პოზიციას, ორ თვალსაზრისს საზოგადოების შემდგომი ბედის შესახებ. ვფიქრობთ, მკითხველი არ უნდა დარჩეს გულგრილი იმ პრობლემებისადმი, რომლებიც ამ ორ ინტერვიუში წარმოჩნდება. მითუმეტეს, რომ მსგავსი განხეთქილებები ბოლო ხანს ძალზე მომრავლდა.

### ელდარ შენგელაია:

პრინციპში, რუსთაველის საზოგადოებამ მასზე დაკისრებულ ფუნქციებს თავი ვერ გაართვა, დაჩიავდა და ბოლო დროს საერთოდ გაურკვეველი იყო მისი არსებობა-არარსებობის საკითხი. ფორმალურად რუსთაველის საზოგადოებას ჰყავდა ხელმძღვანელობა, რეალურად კი დაირღვა ფართო საზოგადოებასთან პრაქტიკული ურთიერთობები. ასეთ ვითარებაში ინტელიგენციის გარკვეულმა ჯგუფმა ინიციატივა გამოიჩინა და 16 მარტის შეკრებაც საზოგადოების აღდგენის მცდელობა, მისი საქმიანობის განახლების იმპულსი იყო.

დიდი გულისტკივილით უნდა გან-

### თენგიზ სიგუა:

16 მარტს რუსთაველის თეატრში შეკრებილთ არავითარი იურიდიული საფუძველი არ ჰქონდათ. 90 პროცენტს რუსთაველის საზოგადოებასთან კავშირი არ ჰქონია. ჩვენ მათ თვითმარქვიები ვუწოდეთ. მათი განაცხადებით, რუსთაველის საზოგადოებამ კარგა ხანია შეწყვიტა პრაქტიკული საქმიანობა. ამ დუხჭირ ყოფაში რუსთაველის საზოგადოებამ იმდენი გააკეთა, რამდენიც არ გაუკეთებია არც ერთ სხვა ნებისმიერ საზოგადოებას, მაგრამ სხვებს არ უტევენ. აქ სულ სხვა აზრია ჩადებული. რუსთაველის საზოგადოების ხელისუფლების თვინიერ საზოგადოებად გადაქცევა სურთ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს შეუძლებელია. 27 აპრილის ჩატარებული ყრილობაც ამის დასტურია. 16 მარტის შეკრება ზემოდან მითითებით მოეწყო. რუსთაველის საზოგადოება ბოლო დროს

გაგრძელება მე 2 გვ.

შემთხვევა

## კვლავ ავარია

გუშინ, ღამის პირველ საათზე, ზესტაფონის ელექტროქვესადგურში მოხდა ავარია. ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა აღმოსავლეთ საქართველოს. ამის გამო ეთერში არ გასულა დილის საინფორმაციო პროგრამა „ალიონი". ავარია ლიკვიდირებულ იქნა დილის 6 საათსა და 45 წუთისათვის. ქალაქის მაღაზიებში შეიმჩნეოდა შეფერხება პურის მიწოდებაში.

BGI

მოკლედ

## ესპანური მოდელით?

ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული ინსტიტუტის ექსპერტმა ხოაკიმ გარსია მორილიომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადგილობრივი მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის საკითხებში, შესაძლოა, გათვალისწინებული იქნას ესპანეთის მოდელი, იმდენად, რამდენადაც ესპანეთში, ისევე, როგორც საქართველოში, ცხოვრობს რამდენიმე ენის მატარებელი ერი. ესპანეთმა ასიმეტრიული ავტონომიის საფუძველზე შეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა. საქართველოსთვისაც სწორედ ეს ასიმეტრიულობის მოდელი იქნება შესაფერისი, რომლის საფუძველზეც ზოგიერთ ეროვნული ნიშნით განსხვავებულ რეგიონს მეტი ავტონომიური უფლებები ექნებათ, ვიდრე სხვას.

იბერია

## შეხვედრა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ სანდრო კავსაძემ მიიღო საქართველოში ევროთათბირის მისიის ხელმძღვანელი დიტერ ბოდენი. განიხილეს აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები.

იპრინდა

ვიზიტი

## ედუარდ შევარდნაძე მოსკოვს ეწვევა

6 მაისს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ეწვევა მოსკოვს, სადაც სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელ ლუდვიგ ჩიბიროვთან ერთად ხელს მოაწერს ოქმს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე.

იბერია

არჩევნები, არჩევნები...

## კანდიდატები ერთმანეთს კბილს უსინჯავენ

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი კრემლში შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატს ალექსანდრე ლებედს. მათ ისაუბრეს არჩევნების წინ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე.

ალექსანდრე ლებედის თქმით, აზრთა ნახევარსაათიანი გაცვლა-გამოცვლის დროს, ელცინმა ცალსახად მიანიშნა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები განსაზღვრულ ვადებში ჩატარდება. სამხედრო-კრიმინალური რეჟიმის დამყარების შესაძლო ალტერნატივა ორივე კანდიდატმა კატეგორიულად უარყო. ლებედმა კვლავ შესთავაზა პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რომელშიც ჩაიწერება, რომ არჩევნების შედეგები გადასინჯვას არ ექვემდებარება. გენერლის თქმით, ამ წინადადებას ელცინი ინტერესით შეხვდა.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი სერგეი მედვედევი არ გამორიცხავს ელცინის სხვა კანდიდატებთან შეხვედრის შესაძლებლობასაც. სხვათაშორის, ერთ-ერთი მათგანი ვლადიმერ ჟირინოვსკი, წითელ ფრაკში გამოწყობილი, მოსკოვის ცენტრში გამართულ მიტინგზე გამოვიდა და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა კომუნისტები. მან მოუწოდა თანამემამულეებს, არ გაიმეორონ წარსულის შეცდომა და გაილაშქრა წითელი დროშის, როგორც რუსი ერის სიმბოლოს წინააღმდეგ. წითელი დროშის ალტერნატივა, მისი აზრით, რუსეთის ფლოტის ცისფერ და თეთრ ფერებში გადაწყვეტილი ანდრეევსკის დროშაა, რომელსაც რუსეთის საზოგადოების ყველა „ტალღის" გაერთიანება შეუძლია.

ნომერშია

## რა აზრისაა ფალსიფიკატორი ორიგინალებზე

იხილეთ მე 3 გვ.

მეგობრები

### ლეონიდ კუჩმა:

## „ჩვენ ღირსეულად გავართმევთ თავს დიდ მისიას"

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა გასულ თვეში ყოველწლიური მოხსენებით წარსდგა ქვეყნის უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელშიც შეეხო სახელმწიფოსა და საზოგადოების ძირეულ საკითხებს. ყურადღება გაამახვილა იმ საკვანძო პრობლემებზე, რომლებიც გაანზოგადა და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ითხოვენ.

ლეონიდ კუჩმამ უკრაინელი ხალხის მნიშვნელოვან მონაპოვრად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში შენარჩუნებულია სამოქალაქო თანხმობა და მშვიდობა, უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. „ჩვენ მოვახერხეთ თავიდან აგვეცილებინა უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი, მისი გადაზრდა სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირებაში, ეთნიკურ და საკონფესიო ჯგუფებს შორის კონფრონტაციაში", აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. გამოსვლაში იგი იმ მიზეზებსაც შეეხო, რამაც, კუჩმას აზრით, გაართულა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი და მოსახლეობის ფართო ფენების სოციალური დაცვა. პრეზიდენტმა ეს შემაფერხებელი ფაქტორები ასეთი თანმიმდევრობით „დაალაგა": 1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით განპირობებული წარმოების ობიექტური დაცემა. 2. ორი დიდი გეოპოლიტიკური გაერთიანების საბჭოთა კავშირისა და „ვარშავის ხელშეკრულების" დაშლა, რაც დროში დაემთხვა ერთმანეთს და რამაც გამოიწვია ეკონომიკური კავშირების რღვევა. 3. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სტრუქტურული კრიზისი, რომელიც ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო და განსაკუთრებით მისი დაშლის ბოლო წლებში გაღრმავდა. 4. „მემკვიდრეობით მიღებული" ტექნოლოგიური კრიზისი და 5. ენერგეტიკული კრიზისი, რაც ენერგომატარებლებზე ფასების არნახულმა ზრდამ გამოიწვია.

რეფორმების ერთ-ერთი საკვანძო საკითხად ლეონიდ კუჩმა პრივატიზაციას მიიჩნევს და მოუწოდებს დეპუტატებს, შემცირების მიზნით გადახედონ იმ საწარმოთა ნუსხა, რომლებიც პრივატიზაციას არ ექვემდებარებიან. რაც შეეხება უმუშევრობას, პრეზიდენტის განცხადებით, ოფიციალური მონაცემებით, მისი დონე უმნიშვნელოა (0,4 პროცენტი), რეალურად კი 5 პროცენტს აღემატება.

უკრაინის პრეზიდენტი თავის მოხსენებაში დეტალურად შეეხო, აგრეთვე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსსაც და ხაზი გაუსვა, რომ „ევროპასთან ინტეგრაცია ჩვენი შეგნებული და სტრატეგიული არჩევანია", თუმცა იქვე დასძინა, რომ „უკრაინა თანმიმდევრულად უჭერს მხარს დსთ-ს ფარგლებში ინტეგრაციული პროცესების განვითარების კურსსაც. „მაგრამ ჩვენ, ამავე დროს მტკიცედ გვჯერა, რომ საბჭოთა კავშირის რეამინაციის მცდელობებს ისტორიული პერსპექტივა არ გააჩნია და იგი მხოლოდ ვნებს ნორმალურ ინტეგრაციულ პროცესს".

თავისი გამოსვლის დასასრულს ლეონიდ კუჩმამ თქვა: „მე მჯერა, რომ სხვა ხალხებთან ერთად ჩვენ ღირსეულად გავართმევთ თავს დიდ მისიას სახელმწიფოს შექმნისა, რომლის სახელია უკრაინა".

საქართველოში უკრაინის საელჩოს პრესსამსახური

კონტაქტები

## დამყარდა პირდაპირი სატელეფონო კავშირი

ინგლისის არასამთავრობო ორგანიზაცია „ვერტიკის" ინიციატივით დამყარდა პირდაპირი სატელეფონო კავშირი საქართველოს პარლამენტსა და სამხრეთ ოსეთის უმაღლეს საბჭოს შორის. საჭირო მოწყობილობა გამოგზავნა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ საქართველოში ამ ქვეყნის ელჩის სტივენ ნეშის საშუალებით. ვარაუდობენ, რომ ხაზი მუშაობას დაიწყებს მომავალი კვირისთვის. „ვერტიკის" ამიერკავკასიის ოფისის დირექტორის დენის სამეტის თქმით, ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც კონფლიქტის გადაწყვეტაში შეთანხმებულ მოქმედებას შეუწყობს ხელს.

BGI

## ლოდი და გორი დაძმობილდნენ...

გორს სტუმრად ეწვია ისრაელის ქ. ლოდის დელეგაცია ქალაქის მერის მათ ლევის ხელმძღვანელობით. ვიზიტის მიზანია ორ ქალაქს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარება. სტუმრები დაათვალიერებენ ქალაქის სამრეწველო ობიექტებს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, შეხვდებიან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სხვა სფეროების სამსახურების ხელმძღვანელებს. დაიდება მრავალმხრივი ხელშეკრულებები, მათ შორის ხელშეკრულება ქალაქების — ლოდისა და გორის — დაძმობილების შესახებ.

დღეს დელეგაცია ქუთაისში გაემგზავრა „მაისის ქუთაისის" ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ებრაელთა დელეგაციის ვიზიტი საქართველოში 5 მაისამდე გასტანს.

იპრინდა

## არჩევნები ინდოეთში

გუშინ ინდოეთში საყოველთაო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა, რომელიც პასუხს გასცემს კითხვას, თუ რომელი პარტია ან პარტიათა ალიანსი მიიღებს შესაძლებლობას, ჩამოაყალიბოს ქვეყნის ახალი მთავრობა.

ინდოეთის პარლამენტის ახლანდელი არჩევნები ქვეყნის ისტორიაში უმაგალითოა. მასში, წინასწარი მონაცემებით, 600 მილიონზე მეტ ადამიანს აქვს მონაწილეობის უფლება. დეპუტატობის მანდატისთვის კი თითქმის 14 ათასი კანდიდატი იბრძვის. შეიძლება დასახელდეს უფრო შთამბეჭდავი ციფრიც: არჩევნებში გამარჯვებაზე 500 პოლიტიკური ორგანიზაცია აცხადებს პრეტენზიას. ყველაზე რეალური კონკურენტი კი ორი პარტიაა — ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტია „ი" და ოპოზიციური „ჯანატა პარტია".

• არჩევნების შემდეგი, მესამე ტური 7 მაისს გაიმართება, ხოლო დასკვნითი ტური ჯამუსა და ქაშმირში — 30 მაისს.

ომი

## კვლავ ჩეჩნურ «მარყუჟში»

გუშინ ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფმა ტყვედ აიყვანა დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 თანამშრომელი, რომლებიც მორიგეობდნენ ოქსაის ბლოკპოსტზე, ჩეჩნეთის ხასავიურტის რაიონის საზღვართან. ისინი ამოწმებდნენ მსუბუქ ავტომანქანას, რომელშიც დაღესტანში მუდმივად მცხოვრები სამი ჩეჩენი იმყოფებოდა. ერთ-ერთ მათგანს აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი, რის გამოც იგი დააკავეს. ეტყობა, ამაზე გაბრაზებული მისი ორი ამხანაგი, რამდენიმე ხნის შემდეგ, საკმაოდ კარგად შეიარაღებულები, უკანვე მიბრუნდნენ და თავს დაესხნენ მილიციელთა ჯგუფს. თავდამსხმელები, შვიდი მილიციელის განთავისუფლების სანაცვლოდ, დაკავებული თანამებრძოლის გამოშვებას მოითხოვენ. ინტერფაქსის ცნობით, ტყვეები უკვე გადაიყვანეს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომელშიც დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მონაწილეობს.

როგორც ჩეჩნეთიდან მოსული ინფორმაციები ცხადყოფს, იქ ბრძოლები მთელი სიძლიერით განახლდა. დაძაბულობაა ბამუტის, სტარი-აჩხოისა და ორეხოვოს რაიონებში. აქ, გასული ღამის განმავლობაში, ჩეჩნები ტყვიამფრქვევებითა და ნაღმტყორცნებით ახორციელებდნენ შეტევებს. გროზნოში ფედერალურმა ძალებმა დაიწყეს საცხოვრებელი კვარტლების განწმენდის ფართომასშტაბიანი ოპერაცია. ეძებენ იმ ჩეჩენ მებრძოლებს, რომლებიც ოპერატიული მონაცემებით, ქალაქის ტერიტორიის მიმდებარე ტყის ზოლიდან, შესაძლოა, გროზნოში შესულიყვნენ. ამ სპეციალურ ოპერაციაში მონაწილეობს ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 500 თანამშრომელი და შინაგანი ძალების მებრძოლი.

გუშინ, საღამოს 5 საათისთვის ამოიწურა ულტიმატუმის ვადა, რომელიც ფედერალურმა ხელმძღვანელობამ შალიში გამაგრებულ ჩეჩნებს წაუყენა. როგორ განვითარდა იქ მოვლენები, ჯერჯერობით უცნობია. ზაგვაევის მთავრობის წარმომადგენლის ნიკოლოზ კოშმანის ინფორმაციით, შალიში დაახლოებით 300-მდე კარგად შეიარაღებული „ბოევიკია", რომლებიც კატეგორიულ უარს აცხადებენ მოლაპარაკებაზე, თუმცა, ჩეჩნეთის პრორუსული ხელისუფლება იმედოვნებს, რომ სამხედრო ოპერაციის საჭიროება არ იქნება.

გუშინვე, იაროსლავლში ვიზიტის დროს, საქალაქო ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მაისის შუა რიცხვებში აპირებს ჩეჩნეთში ჩასვლას. კავკასიაში გამგზავრების მოტივებზე საუბრისას მან თქვა: „მადლობა უნდა გადავუხადო სამხედროებს, რომლებმაც იქ დიდი სამუშაო ჩაატარეს, რათა შევხვდე ადგილობრივ უხუცესებს. ვიზიტმა იმპულსი უნდა მისცეს სამშვიდობო მოლაპარაკებებს".

ეკონომიკა

## ბატონობს ჩრდილოვანი ეკონომიკა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ საქართველოს საწარმოთა მხოლოდ 20 პროცენტი არის ლეგალიზებული, ხოლო დანარჩენი 80 ჩრდილოვან ეკონომიკას ეკუთვნის, მისივე განმარტებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზების შემთხვევაში საქართველოს შემოსავალი რამოდენიმეჯერ გაიზრდება.

იბერია

პარტიები

## აკაკი ასათიანი: «სულ ყურადღების ცენტრში ყოფნა ფსიქოლოგიურად მძიმე გადასატანია»

გასული წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, პარტიების ის ნაწილი, რომელსაც ეროვნული მოძრაობიდან მოსულს ეძახდით, ჩრდილში მოექცა. პოლიტიკოსები, რომელთა სახეებსაც შეჩვეულნი ვიყავით, „საკუთარ ნაჭუჭში" ჩაიკეტნენ და გარედან უცქერენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

არჩევნებიდან უკვე ექვსი თვე გავიდა. ამ პერიოდში პარლამენტს გარეთ დარჩენილმა პარტიებმა შეძლეს მობილიზება და შეგუება იმ აზრთან, რომ ამჯერად მათმა მატარებელმა ჩაიარა და ოთხი წელი მშვიდად მოუწევთ ერთი ადგილის ტკეპნა და ლოდინი — რას მოუტანთ დრო, რომელმაც შესაძლოა მათთვისაც იმუშაოს და მომავალ არჩევნებში ხელისუფლებაში მოსვლის საშუალება მისცეს.

პოლიტიკით დაინტერესებულ საზოგადოებას არ დავიწყებია ის „შოკი", რომელიც ტრადიციონალისტთა კავშირის მარცხს მოჰყვა. მაშინ, ალბათ, ბევრმა იფიქრა, რომ ეს პარტია ამოიწურა, რადგან ტრადიციონალისტთა წინასაარჩევნო თვითდაჯერებულობა ერთგვარმა პოლიტიკურმა მოწყენილობამ შეცვალა.

გავიდა საკმაო დრო იმისთვის, რომ დაფიქრებული, გაანალიზებული პასუხი გაეცეს კითხვებს: ამოიწურა თუ არა მართლა ერთ დროს დაწინაურებული პარტიების პოლიტიკური შესაძლებლობანი? დარჩებიან თუ არა ისინი ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალებად და მოვლენ თუ არა ისევ ხელისუფლების სათავეში?

გვესაუბრება ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი:



— **ბატონო აკაკი, რა საქმიანობას ეწევა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი 1995 წლის არჩევნებიდან დღემდე, რა შეიცვალა შიდაპარტიულ სტრუქტურებში?**

— არჩევნების შემდგომ, პარტიაში დაიწყო და დღემდე გრძელდება გარკვეული წმენდა, რომელმაც შესაბამისი შედეგი გამოიღო — პარტია დატოვა იმ ხალხმა, ვინც შემოსული იყო მხოლოდ პირადი დაინტერესების გამო და რაღაცას ელოდა ჩვენი პარტიიდან. სხვათაშორის, რიცხობრივად დიდად არ დავზარალებულვართ, რადგან, მიუხედავად საარჩევნო მარცხისა, ხალხი მაინც შემოდის პარტიაში. ვერ გეტყვით, რომ მასიური მოზღვავებაა, მაგრამ ძირითადად ვიღებთ სერიოზულ, განათლებულ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ დადებითი გავლენა მოახდინონ პარტიის პოლიტიკურ პოტენციალზე.

სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს შიდასაორგანიზაციო და სტრუქტურული საკი-

გაგრძელება მე-2 გვ.

მართლმსაჯულება

## სასამართლო პროცესი გრძელდება...

1 მაისს უზენაეს სასამართლოში გაგრძელდა ლოთი (ვახტანგ) ქობალიას სასამართლო პროცესი. მას ბრალად ედება სამშობლოს ღალატი და სხვა მძიმე დანაშაულებანი, მათ შორის — ამერიკული საინფორმაციო სააგენტო WTN-ის ოპერატორის დავით ბოლქვაძის დახვრეტა.

პროკურატურამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ არაპირდაპირი მტკიცებების წარდგენა შეძლო. თავად ბრალდებულმა კი კატეგორიულად უარყო ეს ფაქტი.

* * *

უზენაეს სასამართლოში, ქობალიას, ძიძიგურის, მოლოდინაშვილის და ბოკუჩავას სასამართლო პროცესზე მიმდინარეობს მოწმეების დაკითხვა. გუშინ დაკითხეს პოლიციის აკადემიის უფროსის მოადგილე მერაბ რაფავა და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე.

განსასჯელმა ზ. ძიძიგურმა სასამართლო პროცესზე გააკეთა განცხადება, რომელშიც იგი მოითხოვს №1 საგამოძიებო იზოლატორიდან კვლავ ციხის საავადმყოფოში გადაყვანას, ვინაიდან მათი მუშაობისთვის, სასამართლო პროცესის მსვლელობასთან დაკავშირებით, იზოლატორში არანაირი პირობები არ არის. განსასჯელების აზრით, აღნიშნული ფაქტი არის ადამიანის უფლებების დარღვევა.

იპრინდა

ბარიერთან

# რუსთაველის საზოგადოება — ორი ბანაკი. ორი პოზიცია.

**ელდარ შენგელაია:**

პირველი გვერდიდან

ვაცხადო, რომ რუსთაველის საზოგადოების ყოფილმა ხელმძღვანელობამ, მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში, ნებისყოფა, ორგანიზაციული სიძლიერე ვერ გამოიჩინა, ალღო ვერ აუღო სიტუაციას, საზოგადოება ძირითადად გარკვეული პიროვნებების პოლიტიკურ თავშესაფრად იქცა. საზოგადოება პოლიტიკური მიზნებით უფრო ხელმძღვანელობდა, ვიდრე საზოგადოებრივი ინტერესებით. ყველაფერი გაკეთდა რუსთაველის საზოგადოების დასაშლელად. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა საზოგადოების გაყოფა. შეიძლება ეს იმის ბრალიცაა, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მოსახლეობა უკიდეგანოდ პოლიტიზირებული გახდა, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საზოგადოებრივ, არაპოლიტიზირებულ ორგანიზაციებს, მათ ავტორიტეტს და გავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ერის და საზოგადოების განვითარებისთვის.

რუსთაველის საზოგადოებას იმთავითვე ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური ელფერი, ეს ზეგავლენა გამოიწვია იმხანად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, მაგრამ საზოგადოების შექმნის პრინციპიდან გამომდინარე, მისი მიზანი იყო ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, თავისუფალი აზროვნების განმტკიცება, საზოგადოების ფართო ფენებთან მჭიდრო კავშირი, საზოგადოებრივი დისკუსიების წარმართვა, რაც მოქალაქეს სწორი პოზიციის არჩევის შესაძლებლობას მისცემდა. რუსთაველის საზოგადოებას ამ პრინციპებით რომ ემოქმედა, შესაძლებელია, ამ ფონზე პოლიტიკური პროცესებიც უფრო კულტურული ფორმებით წარმართულიყო.

ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ ორივე მხარე შეკრებილიყო და ერთობლივ შეხვედრაზე განეხილათ საზოგადოებაში არსებული პრობლემები, ერთად მოეფიქრებინათ ურთიერთობის განახლების სტრუქტურები, საშუალებები. კომპრომისის გზით სიარული სჯობია!

ვერც ერთი მხარე ვერ შეძლებს სრულფასოვან მოქმედებას. ძნელად წარმოსადგენია ერთი დასახელების, მიზნობრივი, საერთო პრინციპებზე დაფუძნებული, ორ ნაწილად გახლეჩილი ორგანიზმის მოქმედება.

სადღეისოდ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი საზოგადოების ქმედებაში პოლიტიზაციის პროცესი მინელდა. კულტურა — ფართო გაგებით, ჩვენი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. ჩვენთან, როგორც წესი, კულტურაში ძირითადად კულტურის სამინისტროს და მის კურატორობაში მოქცეულ არეალს გულისხმობენ, არადა კულტურა ძალზე ფართო ცნებაა, იგი მოიცავს განათლებას, მეცნიერებას, ისტორიას, ეკოლოგიას, ხელოვნებას, ადამიანთა ურთიერთობებს, მთლიანად ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. ყველა ჩვენგანის ვალია, სწორედ ამ მიმართულებების განვითარებისთვის ზრუნვა. ხელი უნდა შევუწყოთ პოლიტიკური პროცესების დინამიკურ განვითარებას.

**თენგიზ სიგუა:**

ძალიან მოძლიერდა. მასში 400-მდე ახალგაზრდა ხელოვანმა მოიყარა თავი. ჩამოყალიბდა შემოქმედებითი ასოციაცია, არსებობს ისტორიულ-გეოგრაფიული ასოციაცია, რომელიც ეროვნულ საქმეებს აკეთებს. ბოლო სამ წელიწადში ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში მოეწყო ექსპედიციები. შექმნილია ვიდეოფილმები, აღნუსხულია ყველა ქართული კულტურულ-ისტორიული არქიტექტურული ძეგლი, რომელიც იქ არსებობს. გაკეთდა გზამკვლევი. გამოსაცემად მზადდება ალბომი და ა.შ. თვითმარქვია საზოგადოების დამფუძნებლებში, საინიციატივო ჯგუფში გაერთიანებულია ხალხი, რომელთაც რუსთაველის საზოგადოებასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, გამომცემლობის უფროსი გურამ გვერდწითელი, კინორეჟისორი ელდარ შენგელაია — რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოში ესენი არასდროს ყოფილან. ჯერ კიდევ 1988 წელს, როდესაც საზოგადოება შეიქმნა ხელისუფლების ხელშეწყობით, იდეაში ჩადებული იყო, შეექმნათ ორგანიზაცია, რომელიც დაუპირისპირდებოდა ეროვნულ ძალებს. მაგრამ 1989 წელს, პირველივე ყრილობაზე, ხელისუფლებას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მათ მიერ განსაზღვრულმა კონტიგენტმა, რომელიც მმართველობაში უნდა მოსულიყო, ვერ გაიმარჯვა და აქედან მოყოლებული, საზოგადოება ეროვნულ ძალებს უდგას გვერდში. ცხადია, დღეს ეს ხელისუფლებას ხელს არ აძლევს და ამიტომ გადადგეს პროვოკაციული ნაბიჯი.

რუსთაველის საზოგადოება დაფუძნებულია და რეგისტრირებულია მინისტრთა კაბინეტის მიერ და მის ქვემდებარე ორგანოს არ აქვს უფლება ხელახალი რეგისტრაცია გაუკეთოს მას. ამიტომ ჩვენს საზოგადოებას ახალი რეგისტრაცია არ სჭირდება. საზოგადოება რეალურად არსებობს, 1992 წლის შემდეგ უშვებს გაზეთს, აქვს თავისი ანგარიში, ატარებს ღონისძიებებს.

არჩევნებში, როგორც არაპოლიტიკურ ორგანიზაციას, მონაწილეობა არ მიგვიღია, მაგრამ ჩვენი რეკომენდაციით რესპუბლიკური საარჩევნო კომისია ნიშნავდა ცალკეული საარჩევნო უბნების ხელმძღვანელებს. როგორ, არარსებული ორგანიზაცია მოქმედებდა?! საზოგადოება არსებობს და საკმაოდ მძლავრადაც. რადგან საზოგადოება ერისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე თავის განცხადებებს აკეთებს, არ სურთ მისი ამ სახით არსებობა. ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები 25 წლით დაკანონდეს. უარყოფითი დამოკიდებულება გამოვთქვით საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის იმ ფორმაზე, რომელიც დღეს ხორციელდება, ჩვენ მომხრე ვართ მეცნიერთა ჯგუფის მიერ დამუშავებული ფორმისა. სადღეისოდ დაყოფა განხორციელებულია ეთნიკური პრინციპით, მეცნიერებათა აკადემიის და მისი ისტორიის ინსტიტუტის შემოთავაზებით კი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ეკონომიკური პრინციპით უნდა განხორციელდეს. უარყოფითი დამოკიდებულება გამოვთქვით მიწის კანონის ისეთი სახით მიღებაზე, როგორითაც პარლამენტში განიხილება. ჩვენ მხარს ვუჭერთ მიწის განკერძოებას, კერძო საკუთრებას, მაგრამ სანამ არ იქნება შემუშავებული კადასტრი მთლიანად საქართველოს მიწებისთვის, არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მანამდე მიწაზე საკუთრება ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე უნდა დაკანონდეს. ამჟერად მისაღები უნდა იყოს მიწის შეზღუდული საკუთრება. ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომელშიც უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა თურქული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. მოვითხოვთ მთავრობის დადგენილების გაუქმებას, რომ 50 ჰექტარი მიწა ბაზალეთის ტბის პირას 99 წლით თურქებს გადაეცეთ. რუსთაველის საზოგადოების ზოგადი პოზიცია ხელისუფლებას, ეტყობა, არ მოსწონს. როდესაც საზოგადოება მისი თვინიერი გახდება, მაშინ იგი ტაშით შეხვდება საზოგადოების საქმიანობას.

როგორც წესი, საინიციატივო ჯგუფი ამზადებს დოკუმენტაციას, ირჩევს რამდენიმე პიროვნებას, რომლებმაც დოკუმენტაცია იუსტიციის სამინისტროში უნდა წარადგინონ და თუ ისინი გაივლიან რეგისტრაციას, შემდეგ შეიძლება ყრილობის ჩატარება, რომელიც აირჩევს თავმჯდომარეს და ხელმძღვანელ ორგანოს. საინიციატივო ჯგუფს არავითარი უფლება არა აქვს, თავად აწარმოოს მსგავსი ღონისძიება. ცხადია, 16 მარტის შეკრება დიდი იურიდიული დარღვევა იყო, რომ არაფერი ვთქვათ ამ თავყრილობის მორალურ და ზნეობრივ ასპექტებზე.

პარტიები

# აკაკი ასათიანი: «სულ ყურადღების ცენტრში ყოფნა ფსიქოლოგიურად მძიმე გადასატანია»

პირველი გვერდიდან

თხების მოსაწესრიგებლად. სხვათაშორის, არჩევნებში დამარცხებამ კარგად დაგვანახა, ვის პირადი ინტერესები ამოძრავებდა და ვის პარტიული იდეების სჯეროდა. ის, ვინც მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლით იყო დაინტერესებული, ჩვენს გვერდით აღარ არის და არც არასოდეს იქნება...

ჩვენი უახლესი ამოცანა ამ ეტაპზე ერთი რჩება — მონაწილეობა მივიღოთ ადგილობრივ არჩევნებში, რომელიც, ვიმედოვნებთ, ჩატარდება.

**— თქვენი პარტიის გადაწყვეტილებამ, ბატონ ჯონი ხეცურიანის და ბატონ თემურ ბასილიას მიმართ პარტიის წევრობის შეწყვეტის შესახებ, ბევრს გაუჩინა ეჭვი, რომ ტრადიციონალისტთა კავშირი დასუსტდებოდა. თქვენ ამ „დათმობაზე" წახვედით იმიტომ, რომ „დასაჯეთ" ისინი შევარდნაძის გვერდში დგომისთვის?**

— შევარდნაძეზე განაწყენებული მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ აფხაზეთი დაიკარგა. ჩვენ არჩევნების შემდგომაც შევხვედით ერთმანეთს და საუბარი ბასილიაზე და ხეცურიანზე მაშინაც გაიმართა. მე, პირიქით, რეკომენდაციაც კი გავუწიე მათ, რადგან ისინი მცოდნე ხალხი არიან, მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. როცა დადგა მათი პრეზიდენტის აპარატში მუშაობის საკითხი, მე ვთქვი, რომ იქ მომუშავე კაცი ოპოზიციური პარტიის წევრი არ უნდა იყოს. დავაყენე ეს საკითხი საბჭოს წინაშე და მანაც გაიზიარა ჩემი აზრი. დასამალი არაა, რომ შევარდნაძის გზა აბსოლუტურად არ ეთანხმება ჩვენსას და დროის უახლოეს მონაკვეთში არც შეიძლება დაემთხვეს, ამიტომ, ვინც მიიჩნევს, რომ მთავარია პოზიცია — შევარდნაძისკენ ან ვინმესკენ — იმ ხალხს აქ არაფერი ესაქმება.

**— თუ შეიძლება კონკრეტულად თქვენი და ედუარდ შევარდნაძის არათანხვედრი პრინციპების შესახებ...**

— საგარეო პოლიტიკაში, ძირითადად ვეთანხმებით ერთმანეთს. მართალია, სხვაგვარად გვესმის „კავკასიური სახლის" იდეა, მაგრამ, ძირითადად, კავკასიაზე ორიენტირება სწორია. აქ სადავოც არაფერია. აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობა ამ ფორმით, რა ფორმითაც პრეზიდენტი წარმართავს მას, ძირითადად სწორია, თუმცა, ორიენტაციის აღება მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთზე, რადგან სწორედ ისინი არ არიან ჩრდილოკავკასიური გაგების გამომხატველი, მიუღებლად მიმაჩნია. მეჩვენება, რომ დაბალანსების პოლიტიკა, რაც ჩვენ პლატფორმაში გვედო და რასაც შევარდნაძე გარკვეულ ეტაპზე ახორციელებდა, ცოტა დაირღვა, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ პოლიტიკა კავკასიის მიმართ პერსპექტიულია.

სამაგიეროდ, საქართველოს პრეზიდენტს არ ვეთანხმებით საშინაო პოლიტიკაში. თითქმის არ გვესმის, როგორ აპირებს პრეზიდენტი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას, პირადად მე არც მომისმენია პრეზიდენტის საჯარო განცხადება ან კონკრეტული საუბარი ამ საკითხზე. კონკრეტულად რას შეიძლება ელოდოს საქართველოს ხელისუფლებისგან ხალხი, ჩვენ არ ვიცით. ომი და მშვიდობა ერთად არ გამოვა. ან ომი უნდა იყოს, ან მშვიდობა.

დაუშვებლად მიგვაჩნია სამხრეთ ოსეთში რაიმე ადმინისტრაციული ერთეულის აღდგენა. თუ ვინმეს ჭკუა აქვს, თავისი წინამორბედის შეცდომა უნდა გამოიყენოს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გამოასწოროს იგი, იმიტომ, რომ შეცდომად დატოვოს. ამით იმის თქმა მსურს, რომ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის გაუქმება ისტორიული სამართლიანობაა.

• გაურკვეველია რა პრობლემა შეიქმნა აჭარასთან ურთიერთობაში. რატომ ჭირს კონტაქტის დამყარება თბილისსა და ბათუმს, ცენტრსა და აჭარას, ცენტრსა და რეგიონს შორის. პრესა წერს, აჭარის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ოფიციალური პოზიცია კი არ ჩანს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაირკვეს აჭარის სტატუსი, აჭარის მდგომარეობა საქართველოს ფარგლებში.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რა ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს საქართველო. ის, რაც საქართველოს ეკონომიკაში ხდება, რეფორმა აღარ არის. მე მესმის შოკური თერაპია, მაგრამ ეს შოკი რაღაც დიდხანს გაგრძელდა. ამგვარი რეფორმით ყველა უკმაყოფილოა. მეწარმეც, მოქალაქეც, მინისტრიც, ბიზნესმენიც და, მგონი, სავალუტო ფონდიც.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, მიმაჩნია, რომ საშინაო პოლიტიკაში სრული გაუგებრობაა და ამგვარ მდგომარეობას კარგი არაფერი მოჰყვება. თუ ვინმე მიიჩნევს, რომ რაიმეა გარკვეული, თქვას — რა. თქვას, ეს ქვეყანა უნიტარული იქნება თუ ფედერალური, ფედერალიზმი სიმეტრიული იქნება თუ ასიმეტრიული; როდის გადაწყდება მიწის საკითხი, რამდენ ხანს შეიძლება ვისაუბროთ მიწის კანონზე მხოლოდ იმიტომ, რომ სავალუტო ფონდმა კრედიტი მოგვცეს და მერე ეს კრედიტი მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ წრეს დაურიგდეს.

**— იღებს თუ არა ტრადიციონალისტთა კავშირი მონაწილეობას საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში?**

— ნაკლებად. ჩვენ ვმონაწილეობდით ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ მოწყობილ კონფერენციაში, რომელზეც საუბარი იყო ადგილობრივი თვითმმართველობების საკითხებზე. გვაქვს შეხება საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთანაც, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დიდ აქტივობას ვიჩენთ, ან ზეგაველენის მოხდენის დიდი საშუალება გაგვაჩნია.

**— გაქვთ თუ არა კონტაქტი ტრადიციონალისტთა კავშირის წევრ მაჟორიტარ დეპუტატებთან. გამოხატავენ თუ არა ისინი პარლამენტში თქვენს პოზიციას?**

— არა. ისინი პარალმენტში ტრადიციონალისტთა კავშირს არ წარმოადგენენ და ამიტომ ჩვენ მათ სრული თავისუფლება მივეცით.

**— თქვენი აზრით, რა პრიორიტეტები შეიძლება ჰქონდეს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

— საშინაოზე უკვე მოგახსენეთ, პრიორიტეტი უნდა იყოს ტერიტორია და საკუთრება. საგარეო პოლიტიკაში კი გვაქვს ჩვენი მოსაზრებები. კერძოდ, გამოყენებული უნდა იქნეს უკრაინის ფაქტორი, რადგან უკრაინა შავ ზღვაზე, თურქეთთან ერთად, ძალთა გამაწონასწორებელი ქვეყანაა. მიმაჩნია, რომ საქართველომ მთლიანად უნდა გათვალოს თავისი პოლიტიკა ევროგაერთიანების მიმართაც.

და კიდევ, თუ რუსეთში კომუნისტები გაიმარჯვებენ, პასუხი ამაზე უნდა იყოს დსთ-დან მეორე დღესვე გამოსვლა.

**— არჩევნების შემდგომ პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებში შეიმჩნევა გაერთიანების ტენდენცია, ტრადიციონალისტთა კავშირი ჯერჯერობით არც ერთ გაერთიანებაში არ შესულა როგორ ფიქრობთ, ისევ მარტო მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, თუ რომელიმე პარტიასთან ერთად?**

— ჩვენ არასოდეს ვთანამშრომლოდით იმ ძალებთან, რომელთაც რაიმე მონაწილეობა აქვთ მიღებული ამ ქვეყნის დაცემაში. სულ ერთია, ეროვნული ერქმევა მას თუ ანტიეროვნული. პირადად მე დიდი პატივისცემა მაქვს ვაჟა ადამიას მიმართ. მას საქართველოსთვის არც ნებსით, არც უნებლიედ არ უღალატია.

წერეთელზე ლაპარაკი კი ზედმეტად მეჩვენება. თუ იგი თავს არ დაანებებს არაკორექტული განცხადებების გაკეთებას, ალბათ, მალე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**— ე.ი. ჩავთვალოთ, რომ ჯერჯერობით მაინც მარტო რჩებით.**

— ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთ ძალას, რომელთან პარტნიორობაც ამ ეტაპზე შეიძლებოდეს. ამ კოალიციებში და გაერთიანებებში არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი პატიოსნებით, პატრიოტობით სახურებენ ჩვენს პატივისცემას, მაგრამ არ არის საკმაო საფუძველი იმისთვის, რომ ტრადიციონალისტთა კავშირი შევიდეს მათ გაერთიანებაში.

პოლიტიკა პრაგმატული საქმეა. როცა რაიმე ნაბიჯს დგამ, აუცილებლად უნდა მოიგო რაღაც. გეკითხებით, რას მოვიგებდით ჩვენ იქ მისვლით ან ისინი რას მოიგებდნენ ჩვენი მათთან გაერთიანებით? შეიძლება წერეთელი ფიქრობს, რომ ჩვენთან კავშირში შესვლით იგი რაღაცას მოიგებს, მაგრამ მე არ მსურს ჩემით სხვას მოგება ბინო.

თვითონ ის ფაქტი, რომ ეროვნული მოძრაობის დაქსაქსულობის შემდეგ გაერთიანების პროცესი დაიწყო, ძალზე კარგი და მისასალმებელი.

**— ხომ არ შეზღუდა პოლიტიკოსი აკაკი ასათიანი საპარლამენტო არჩევნებში კრახის გამო, ერთგვარად ჩრდილში აღმოჩენამ?**

— კაცი სულ თაკარა მზეში ხომ არ უნდა იდგეს. ჩრდილში ყოფნა ცუდი კი არ არის. ბოლო ხუთ წლამდე სულ ჩრდილში არ ვიდექი? ვინმე მიცნობდა ჩემი ახლო მეგობრების მეტი? არავინ. რამე დაუშავდა საზოგადოებას? არა მგონია. მე პოლიტიკაში ჩავები იმიტომ, რომ კეთდებოდა ის, რაც მე მსურდა — გაჩნდა შანსი ჩემი სამშობლოს გათავისუფლებისა, ვალდებული ვიყავი ხელი გამენძრია. ტალღამ რომ ზევით ამომატივტივა, ეს უფრო ეპოქის დამსახურებაა, ვიდრე პირადად ჩემი.

ჩემს პარტიას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქვეყნის დამოუკიდებლობაში. რომ არ ყოფილიყო მრგვალი მაგიდა და არ გვემართა ქვეყანა, დარწმუნებული ვარ ქცევამდე არ მივიყვანდით მას, მაგრამ შევძლებდით მართვას? ვერ შევძლებდით ახლა ხშირად აკრიტიკებენ წინა ხელისუფლებას, თუმცა, იმაზე უკეთესი, რაც მაშინ გაკეთდა, ჯერ არავის არაფერი გაუკეთებია. დღესაც ჩვენი კანონებით იმართება ქვეყანა. დღესაც ჩვენი შემუშავებული კანონი აძლევს პრესას, პარტიებს, ჩვენი მოპოვებული დამოუკიდებლობა, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ხელს ვერავინ ახლებს...

ამას ყველაფერს დიდი ენერგია დასჭირდა. ვერ გეტყვით, რომ დავიღალე, მაგრამ სულ ყურადღების ცენტრში ყოფნა ფსიქოლოგიურად მძიმე გადასატანია. ძალიან გავს, ვიმეორებ, თაკარა მზეში დგომას და ჩრდილში დგომა ცოტა ხნით ძალიან კარგია. გაიაზრებ მაინც, რა გააკეთე.

თუ მართლა იმას ამბობენ, რომ შევარდნაძემ შეგვიშალა ხელი საპარლამენტო არჩევნებში, ჩათვალეთ, რომ მას ამაზე კარგი სამსახური ტრადიციონალისტთა კავშირისთვის ჯერ არ გაუწევია.

ესაუბრა

მაია ტორაძე

# ახალი საზღვარგარეთი

## წინაპართა «გზას დაადგნენ»

გუშინ შვედეთში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა რუსეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი. აეროპორტიდან იგი გაემგზავრა შვედეთის სამთავრობო რეზიდენციაში, სადაც შეხვდა ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას.

რუსეთ-შვედეთის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს — X საუკუნეში თანამედროვე შვედების წინაპრები რუსეთის მიწაზე გამავალი სავაჭრო არტერიებით სარგებლობდნენ, იმდროინდელ შვედეთში კი კარგად იცნობდნენ ნოვგოროდელ ვაჭრებს. ჯერ კიდევ მაშინ გამოიკვეთა სახელმწიფოთაშორისი კავშირები. ამჟამად, ურთიერთობების შესუსტების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, შესამჩნევი გახდა პოზიტიური ძვრები. განსაკუთრებით დინამიურად ვითარდება ერთობლივი საწარმოების შექმნის პროცესი. თუმცა, ფართომასშტაბიანი გეგმების რეალიზებისგან შვედები, ჯერჯერობით, თავს იკავებენ.

შვედეთის ექსპორტის საბჭოს ვიცეთავმჯდომარის აზრით, ამის მიზეზია რუსეთის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც სამეწარმეო მოღვაწეობას არეგულირებს და ხელსაყრელი არ არის შვედი ინვესტორებისთვის, აგრეთვე, რუსეთის ბაზართან ურთიერთობის დიდი რისკიანობა.

## პრიმაკოვი სტრასბურგში...

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი სტრასბურგში გაფრინდა, სადაც დღეს გაიმართება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მორიგი სხდომა. რუსი მინისტრი ხმის მიცემის უფლებით პირველად მიიღებს მონაწილეობას ასეთი დონის სხდომაზე. ეს კი შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთი ევროსაბჭოს ოფიციალური წევრი ქვეყანა გახდა.

## სომხეთის პრეზიდენტი რუსეთის შესახებ

„დემოკრატიული რუსეთი სტაბილიზაციის, ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების ფაქტორია, დემოკრატიულ რუსეთს კი განასახიერებს ქვეყნის ახლანდელი ხელისუფლება ბორის ელცინის მეთაურობით", — ასეთი განცხადება გააკეთა სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა რუსეთის სასაზღვრო ჯარების არტ-შტატის რაზმის პირად შემადგენლობასთან საუბრისას. თუ რუსეთი დემოკრატიული დარჩება, მაშინ ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხები მის გარშემო დაირაზმებიან, ასე მიიჩნევს სომხეთის პრეზიდენტი.

## გრაჩოვი სომხეთში

გუშინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა დაიწყო ორდღიანი სამუშაო ვიზიტი სომხეთში, ერევანში იგი შეხვდება სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებს. განიხილება ორი ქვეყნის სამხედრო და სამხედრო-ტექნოლოგიური ურთიერთობის საკითხები.

მოკლედ

## ებრაელთა პროტესტი

ღაზის სექტორში მდებარე ქალაქ ჰებრონის ებრაული მაღაზიები და სკოლები დახურეს ისრაელის პარლამენტში დასავლეთ სანაპიროს ამ ქალაქიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე დებატების პროტესტის ნიშნად. ისრაელისა და პალესტინის ადმინისტრაციის შეთანხმების თანახმად, რომელსაც გასული წლის სექტემბერში მოაწერეს ხელი, ისრაელს ჯერ კიდევ მარტში უნდა გაეყვანა ჯარები აღნიშნული ტერიტორიიდან, მაგრამ ეს პროცესი გადაიდო თებერვალში განხორციელებულ აფეთქებათა სერიალის გამო, რომელიც ტერორისტმა ისლამისტებმა მოაწყეს და რომელსაც მსხვერპლად 59 ადამიანი შეეწირა.

## «ღარიბ» სამხრეთს «მდიდარი» ჩრდილოეთი დაეხმარება

იტალიის „ლიგა ნორდეს" (ჩრდილოეთის ლიგის) პარტიის ლიდერის უმბერტო ბოსის თქმით, საჭიროა ჩატარდეს რეფერენდუმი, რომლითაც იგი იმედოვნებს, რომ მოსახლეობა მხარს დაუჭერს ჩრდილოეთ იტალიის პრივილეგირებულობას ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით. ბოსი ცნობილია ცოცხალი საუბრითა და ორატორული ნიჭით. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ „ბეჯითი" ჩრდილოეთი დაეხმარება „უძლურ, საცოდავ" სამხრეთს. კერძოდ, მდიდარი ინდუსტრიული ჩრდილოეთიდან ამოღებული დიდი გადასახადები ხსნად მოევლინება სოფლის მეურნეობაში ჩაფლულ ღარიბ სამხრეთს.

## „ურჩი" მასწავლებლები

როგორც ვიუწყებოდით, თებერვლიდან მოყოლებული, ბელგიაში გაფიცულნი არიან ფრანკოფონი მასწავლებლები. მიზეზი — მასწავლებელთა სამუშაო ადგილების შემცირების თაობაზე მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა.

ორშაბათ საღამოს დაშვებული იქნა გარკვეული კომპრომისი ბელგიის სამთავრობო კომიტეტის მხრიდან, რომელიც ითვალისწინებდა პედაგოგების სამუშაო ადგილების მხოლოდ 1 პროცენტით შემცირებას, სამუშაო საათების ასევე უმნიშვნელოდ შემცირებას და 60 წლის ასაკში სავალდებულო გასვლას პენსიაზე. თუმცა, გაფიცვის მონაწილეები ამ კომპრომისით არ დაკმაყოფილდნენ. როგორც ჩანს, 8 თებერვლიდან დაწყებული გაფიცვა პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

ეკონომიკა

# გერმანიის ეკონომიკა განსაცდელის წინაშე

კანცლერ ჰელმუტ კოლის მთავრობა კრიტიკის ობიექტად იქცა. მიზეზი ბევრია, მაგრამ ძირითადი მაინც გერმანიის ექვსი წამყვანი ეკონომიკური ინსტიტუტის მიერ მიწოდებულ ეკონომიკურ პროგნოზთა გაუმართლებლობაა. მათი ინფორმაციის მიხედვით, ინფლაცია წელს უკვე საგრძნობლად უნდა დაცემულიყო. ამის ნაცვლად კი სამომხმარებლო ფასები ქვეყანაში 1,8 პროცენტით გაიზარდა.

ინსტიტუტების ექვსი თვის წინანდელი პროგნოზი საშემოსავლო მატების 2,5 პროცენტის გაზრდის თაობაზე, ასევე მცდარი აღმოჩნდა — ის სულ რაღაც 0,75 პროცენტით გაიზარდა. უმუშევრობის სტატისტიკაც დიდად სახარბიელო არ არის და კლების ნაცვლად ზრდის მაჩვენებლებს იძლევა. ასე რომ, გერმანიის ეკონომიკა საკმაოდ მწვავე პრობლემების წინაშე დგას და მის ფინანსთა მინისტრს, რომელიც გარკვეული მოსაზრებებით, ევროპის სავალუტო კავშირის მოთხოვნებს უპირისპირდება, ძლიერ გაუჭირდება დილემის გადაჭრა.

დიდი ბრიტანეთი

# განხეთქილება ადგილობრივი არჩევნების წინ

გუშინ ინგლისში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, მისი შედეგები ჯონ მეიჯორის პარტიისთვის სასიხარულო ვერ იქნება, ვინაიდან კონსერვატორთა რიგებში დიდი არეულობა სუფევს. განხეთქილების ძირითადი მიზეზი კი პარტიის შიგნით პრო- და ანტი-ევროპული შეხედულებების შეჯახებაა. კონსერვატორების მარცხს გარდაუვლად მიიჩნევენ როგორც მიმომხილველები, ასევე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები. თუმცა, კანტიკუნტად გაისმის პროგნოზებიც პრემიერმინისტრ ჯონ მეიჯორის პარტიის ლიდერად დარჩენის თაობაზე.

ევროპული ინტეგრაციის საკითხი მეიჯორისთვის დილემად რჩება. მან ადრეც გამოიჩინა სისუსტე და აჩვენა საზოგადოებას, რომ არ ძალუძს საკუთარ პარტიაში ამ პრობლემასთან დაკავშირებული უთანხმოების მოგვარება. ტორები ვერ შეთანხმდნენ ერთზე: საჭიროა თუ არა ევროკავშირში გაწევრიანება.

ოთხშაბათს კონსერვატორებს შორის შეხლა-შემოხლის კიდევ ერთი რაუნდი გაიმართა. მეიჯორი კიდევ ერთხელ „დამცირდა" პოლიტიკოსთა თვალში: იგი ჯერ პროევროპული ორიენტაციის მომხრე კონსერვატორებს უჭერდა მხარს („ევროკავშირში ყოფნა ბრიტანეთის ინტერესებშია"), შემდგომ კი სრულიად საპირისპიროში არწმუნებდა „ევროსკეპტიკოსებს".

პოლიტიკური მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ასეთი მერყეობის გამო, კონსერვატორები გუშინდელი ადგილობრივი არჩევნების შემდეგ დაახლოებით 650 ადგილს დაკარგავენ.

# ბრიტანეთი შეღავათებს ელის

ბრიტანეთმა განაცხადა, რომ გაამკაცრებს დაავადებული ხორცის ლიკვიდაციის ზომებს, ვინაიდან გარკვეული შეღავათები მიიღო ჯანმრთელი საქონლის ხორცის ექსპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით. „სასიკეთო ძვრები" ლუქსემბურგში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელებთან ორდღიანი მოლაპარაკებების შემდგომ მოხდა. ბრიტანეთის ევროკავშირელი პარტნიორები აკრძალვის ეტაპობრივ მოხსნას უჭერენ მხარს.

ბრიტანეთი ყოველთვის დაავადებული საქონლის შერჩევითი დაკვლის პრინციპის დამკვიდრებას ითხოვდა, მან უკვე დაკლა 40 ათასი მსხვილფეხა საქონელი, რითაც აკრძალვის გარკვეული პირობები დააკმაყოფილა. თუმცა, ევროკავშირის ვეტერინარი ექსპერტები ამბობენ, რომ ეს რიცხვი საკმარისი არ არის, რათა საბოლოოდ აღმოიფხვრას დაავადების კერა.

ოთხშაბათს კი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა დუგლას ჰოქსმა საპარლამენტო სხდომაზე განაცხადა, რომ სამთავრობო გეგმა მსხვილფეხა საქონლის დაავადების თავიდან აცილების თაობაზე უკვე იწყებს სრული ძალით ამოქმედებას. შერჩევითი დაკვლა ეხება 30 თვის და უფროსი ასაკის საქონელს. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ზარალისთვის ყველა ფერმერი მიიღებს სათანადო კომპენსაციას. მართალია, ძროხების შერჩევითი დაკვლა ორშაბათს დაიწყო, მაგრამ ეს პროცესი დროებით შეჩერდა აუცილებელი ზომების ფორმალური დაუფიქსირებულობის გამო. იგი დღეიდან განახლდება და სამთავრობო გეგმის ყველა პუნქტი ზედმიწევნით შესრულდება.

ევროპა

# «გლეხთა ომი» დასავლეთ ევროპაში

ესპანეთისა და საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის საკმაოდ უცნაური და გაურკვეველი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. მიზეზი ერთია — ესპანელი ფერმერები ბოიკოტს უცხადებენ ფრანგულ პროდუქტებს. ბოიკოტი ორშაბათს დაიწყო და მისი ფესვები უკვე საკმაოდ ღრმად არის წასული. პროტესტი ესპანეთის მარწყვისა და ბოსტნეულის პარტიებზე ფრანგ ფერმერთა ბოლოდროინდელმა თავდასხმებმა გამოიწვია.

საორგანიზაციო ჯგუფმა, რომელშიც ესპანეთის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ასოციაციები გაერთიანდნენ, განაცხადა, რომ მისმა წევრებმა გარკვეულ სოციალურ მიზეზთა გამო დაიწყეს ეს ბოიკოტი. ესპანეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა დაგმო მომხდარი ინციდენტები, თუმცა, ბოიკოტზე სიტყვაც არ უთქვამს. ესპანეთის გადამჭრელი ზომები ფრანგ ფერმერთა მიერ პროვოცირებულმა ინციდენტმა გამოიწვია. საქმე კი აი რაშია: პარასკევს, ფრანგი მარწყვის მწარმოებლები შეცვივდნენ სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ტულუზას ბაზარში და გაანადგურეს ხილის ესპანური პარტია.

# ევროპელთა როლი უნდა გაიზარდოს

• გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრებმა ნიუ მექსიკოში განლაგებულ აშშ ბაზაში გახსნეს გერმანიის საჰაერო ძალების საწვრთნელი ცენტრი. გერმანია 160 მილიონ დოლარზე მეტს გაიღებს მომავალი ორი წლის განმავლობაში, რათა ნიუ მექსიკოში განლაგებულ საჰაერო ძალების ბაზაში გაწვრთნილი მებრძოლ მფრინავთა კვალიფიციური კადრები მიიღოს.

როგორც უილიამ პერიმ აღნიშნა, ეს ღონე განსაკუთრებულია გერმანიის საჰაერო შეიარაღებული ძალებისთვის.

ვაშინგტონში გერმანიის თავდაცვის მინისტრმა კომენტარი გაუკეთა ნატოში მიმდინარე რეფორმებს. იგი იმედოვნებს, რომ ევროპის ქვეყნები გაზრდიან თავის როლს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, რომელშიც ამჟამად ამერიკელები დომინირებენ.

## ახლო აღმოსავლეთი

# [ამე]რიკელები პალესტინელთა [ქმე]დებით კმაყოფილნი არიან





მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე ისრაელსა და პალესტინას შორის დაგეგმილი მოლაპარაკების წინ, პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელი იასირ არაფატი აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მიიღო.

